



საქართველოს
კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

F

სსიპ ქ. გორის სულხან ცინცაძის
სახელობის სამუსიკო
საზოგადოებრივი კოლეჯი

ანგარიში

18/1

წინამდებარე დოკუმენტი განკუთვნილია სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სსიპ ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯისთვის, ემსახურება სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებული მდგომარეობის ანალიზს, მიზნად ისახავს საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, ადმინისტრაციული და ფინანსური მართვის, სწავლების ხარისხის, სერვისების მიწოდების, სახელოვნებო განათლების რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

სარჩევი:

1. ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ
2. საკონტაქტო ინფორმაცია
3. საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ (მოკლე აღწერა)
4. ორგანიზაციული სტრუქტურა; საგანმანათლებლო ნაწილის სტრუქტურა (განყოფილებები/მიმართულებები)
5. სასწავლებლის ფინანსები
6. თანამშრომელთა რიცხოვნობა
7. პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა
8. პედაგოგთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები
9. პედაგოგთა სახელფასო ანაზღაურება
10. მოსწავლეთა რიცხოვნობა
11. სასწავლებელში ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა კოეფიციენტი
12. ინფორმაცია შშმპ, სსსმ პირების შესახებ, მათი ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული/დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე
13. ინფორმაცია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების თაობაზე
14. მოსწავლეთა მონაწილეობა და მიღწევები ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებში
15. 2015-2018წწ. სასწავლებლის მიერ განხორციელებული პროექტები
16. სწავლის შედეგების შეფასება
17. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
18. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა (რეგულაციები და მექანიზმები)
19. ბენეფიციართა შერჩევა
20. პერსონალის თრენინგ-კურსები/კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები
21. დაწესებულების საქმიანობის დაგეგმვა
22. საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის შესაბამისობა „კულტურის სტრატეგია 2025“ დოკუმენტთან
23. სამოქმედო გეგმა - 2018 წ.

24. მიმართულებები, რომლის დანერგვის/განვითარების რესურსიც გააჩნია სასწავლებელს, მაგრამ ჯერ ვერ ხორციელდება
25. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი
26. შენობა-ნაგებობასთან და მატერიალურ ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული პრობლემების აღწერა
27. კომუნალური ხარჯები (2015-2017წწ.)
28. პროგრამების თვითღირებულება(დისციპლინების მიხედვით)
29. ხედვა სასწავლებლის განვითარების/ჰიპოთეტური მოდელის თაობაზე
30. თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი

1. ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	საზოგადოებრივი კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	218083302

2. საკონტაქტო ინფორმაცია	
მისამართი	გორი, სამეფო ქ.17
საფოსტოინდექსი	1400
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.gorimuscollege.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	gori.college@yahoo.com
ტელეფონი/ფაქსი	0(370)27 3511
დაწესებულების ხელმძღვანელი	ნადეჟდა მანჯავიძე
ტელეფონი/ფაქსი	599 552273
ელ-ფოსტა	naiko212@yahoo.com

3. საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ (მოკლე აღწერა)		
სწავლის სრული ხანგრძლივობა		შენიშვნა:
<p>(მოკლე ინფორმაცია დაარსების/დაფუძნების, რეორგანიზაციის და ა.შ. თაობაზე)</p> <p>სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი 1963 წლიდან მოქმედი სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე დაფუძნდა. თითქმის 50 წლის განმავლობაში სასწავლებელი ქალაქისა და რეგიონის მუსიკალური ცხოვრების ცენტრი იყო და მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მის სულიერ და კულტურულ დონეს, ამზადებდა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებს შიდა ქართლის სამუსიკო სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო კოლექტივებისათვის. კურსდამთავრებულებიდან საუკეთესოები სწავლას აგრძელებდნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და სხვა სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში. სამწუხაროდ, განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების შედეგად, 2006 წლიდან სამუსიკო სასწავლებლებში შეწყდა სტუდენტთა მიღება და გორის სამუსიკო სასწავლებელი(იმჟამად უკვე კოლეჯი) მიღევად რეჟიმში აღმოჩნდა. შედეგად დაირღვა უწყვეტი სამუსიკო განათლების (სამუსიკო სკოლა-სასწავლებელი-კონსერვატორია) სისტემა, აღარ ხდებოდა საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებაც.</p>		

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის #83 დადგენილებით გორის სამუსიკო კოლეჯის ბაზაზე და მის უფლებამონაცვლედ დაფუძნდა სსიპ-უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულება- „ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი“. 2010 წელს ახალდაფუძნებულ უმაღლეს სამუსიკო კოლეჯში ჩატარდა პირველი მიღება უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. კოლეჯის აკადემიური პერსონალი დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური კადრებით. „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე კოლეჯთან დაფუძნდა სამუსიკო სემინარია, სადაც სწავლობენ განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებული მოსწავლეები შიდა ქართლის ყველა რაიონიდან.

2011 წელს, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესაბამისად, მოხდა განათლების სისტემის მორიგი ძირეული რეფორმირება და კოლეჯის რეორგანიზაცია სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯად. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #153/ნ). დაწესებულებაა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 დეკემბრის #49 გადაწყვეტილებით სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯს 6(ექვსი) წლის ვადით კვლავ მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი(საზოგადოებრივი კოლეჯი).

კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და სხვა რეკვიზიტები. კოლეჯი საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს ახორციელებს დამოუკიდებლად (კოლეჯის წესდების 1-ლი მუხლის მესამე პუნქტი). დღეს ის ერთადერთი ავტორიზებული პროფესიული სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, აგრეთვე მოსამზადებელი, ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამები.

ამჟამად კოლეჯი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ახორციელებს V საფეხურის პროფესიულ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს. ეს პროგრამებია:

შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმასტერი) –ფორტეპიანო; 180 კრედიტი, 30 თვე

შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმასტერი) –სიმებიანი საკრავები; 180 კრედიტი, 30 თვე

გუნდის ლობტარი/რეგენტი; 120 კრედიტი, 20 თვე

ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალი. 180 კრედიტი, 30 თვე

2013 წლიდან კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი პროფესიული ტესტირების საფუძველზე, შემოქმედებითი ტურების შედეგების გათვალისწინებით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესის II თავის მე-4 მუხლის I პუნქტის საფუძველზე, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, ახორციელებს სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე), რომლებსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის მისია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №153/წ დამტკიცებულ ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის წესდებაში.

ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში – პროგრამები) განხორციელება. დასახული მისიის განსახორციელებლად ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი:

- ა) უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- გ) ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- დ) ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეცნიერო პარტნიორობას;
- ე) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ვ) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- ზ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
 - თ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
 - ი) საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესის II თავის მე-4 მუხლის I პუნქტის საფუძველზე, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, ახორციელებს სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე), რომლებსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;


კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯში ხორციელდება მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შედგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული მეხუთე საფეხურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტანდარტების მიხედვით (ბრძ.#258, 15.08.2013). პროგრამები განხლებული სახით დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძ.#1/34, 12.09.2016), შედგენილია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“, „სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, თან ახლავს შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის მიზნები, მოცულობა, სწავლის

შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.1 ორგანიზაციული სტრუქტურა

(ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სხვა სათათბირო ორგანო/ები)



კოლეჯის მართვის ორგანოებია საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. სასწავლო პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და მისი სათათბირო ორგანოა პედაგოგიური საბჭო.

4.2 საგანმანათლებლო ნაწილის სტრუქტურა (განყოფილებები/მიმართულებები)

ამჟამად კოლეჯი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ახორციელებს V საფეხურის პროფესიულ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს. ეს პროგრამებია:

შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმასიტერი) – ფორტეპიანო, ვიოლინო; 180 კრედიტი, 30 თვე
გუნდის ლობზარი/რეგენტი; 120 კრედიტი, 20 თვე
ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალი. 180 კრედიტი, 30 თვე.

ახორციელებს სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე), რომლებსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა (I-XI კლ);

ფორტეპიანო;

სიმებიანი საკრავები;

საგუნდო-სადირიჟორო

5 ფინანსები				
1	სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები 2017წ.	საერთო ოდენობა	თანხის ათვისება	
		235 000	(ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი, დანიშნულება) შრომის ანაზღაურება 204 000 ლარი საქონელი და მომსახურება 31 000 ლარი	
2	სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები 2018წ.	235 000	(ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი, დანიშნულება) შრომის ანაზღაურება 204 000 ლარი საქონელი და მომსახურება 31 000 ლარი	
3	საკუთარი შემოსავლები 2017წ.	საერთო ოდენობა	შემოსავლების წარმომავლობა	თანხის ათვისება
		9100	(მიუთითეთ შემოსავლების წყარო/ები) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო ვაუჩერი	(ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი, დანიშნულება) შრომის ანაზღაურება 2 897 ლარი ოფისის ხარჯი 2681
4	დაგეგმილი საკუთარი შემოსავლები 2018წ.	მიღებული, დაგეგმილი	შემოსავლების წარმომავლობა	თანხის ათვისება
		20000 (დაგეგმილი)	(მიუთითეთ შემოსავლების წყარო/ები) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო ვაუჩერი	(ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი, დანიშნულება) შრომის ანაზღაურება 12 000 საქონელი და მომსახურება 8 000 ლარი (დაგეგმილი)

6. თანამშრომელთა რიცხოვნობა			სახელფასო განაკვეთი	შენიშვნა
სულ -	44		204 000 ლარი	
შტატით	საბიუჯეტო	საკუთარი შემოსავლებით	204 000 ლარი	
	37	2		
შტატგარეშე	საბიუჯეტო	საკუთარი შემოსავლებით	10500 ლარი	
	5	-		
ადმინისტრაცია -(რიცხოვნობა, თანამდებობა) 13			75840 ლარი	

პედაგოგები- რიცხოვნობა 24+2	128160 ლარი+12000 საკუთარი შემოსავლებიდან	
პედაგოგები, რომლებიც ითავსებენ დამატებით თანამდებობას/საქმიანობას (ჩამონათვალი) დირექტორი დირექტორის მოადგილე (ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი) სასწავლო პრაქტიკისა და პროფორიენტაციის მენეჯერი		
დამხმარე პერსონალი- (რიცხოვნობა, ჩამონათვალი) 5, მათ შორის დამლაგებელი-2, დაცვა-2, გაზოპერატორი(მუშა)-1	1) 4200 2) 4200 3) 2100	
გთხოვთ, მიუთითოთ ვაკანსია/ები, კადრების დეფიციტი (არსებობის შემთხვევაში)	-	

7. პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა (კვირაში) (გთხოვთ, გაყოთ სამ კატეგორიად)		
მაქსიმალური 25სთ.დან - 35თ. მდე	საშუალო 15სთ.დან -25სთ.მდე	მინიმალური სთ.დან -15სთ.მდე
(ამ დატვირთვის მქონე პედაგოგთა ოდენობა) 7 პედაგოგი და კონცერტმასტერი	(ამ დატვირთვის მქონე პედაგოგთა ოდენობა) 11 პედაგოგი	(ამ დატვირთვის მქონე პედაგოგთა ოდენობა) 8 პედაგოგი

8. პედაგოგთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები
<p>გთხოვთ, მიუთითოთ მასწავლებლის კვალიფიკაციის მოთხოვნა/პირობები სასწავლებლის მხრიდან. მათ შორის რამდენი მასწავლებელია აკადემიური, პროფესიული ან სხვ. განათლებით.</p> <p>შინაგანაწესით ყველა მასწავლებელს მოეთხოვება უმაღლესი განათლება სპეციალობის მიხედვით, შესაბამისად, კოლეჯის ყველა პედაგოგს აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. ერთი მასწავლებელი არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. ერთი-მუსიკოლოგიის დოქტორი.</p>

9. პედაგოგთა სახელფასო ანაზღაურება (გთხოვთ, გაპყოსთამკატეგორიადდამიუთითოსამტატო/შტატტარეშეგანაკვეთები)		
მაქსიმალური ...ლ.დან -ლ. მდე	საშუალო ...ლ.დან -ლ.მდე	მინიმალური ...ლ.დან -ლ.მდე
(ამ ანაზღაურების მქონე პედაგოგთა ოდენობა)	(ამ ანაზღაურების მქონე პედაგოგთა ოდენობა)	(ამ ანაზღაურების მქონე პედაგოგთა ოდენობა)
1 განაკვეთის ღირებულება 720 ლარი (600 წლიური საათი)-2 პედაგოგი, პროფესიული პროგრამები	1 განაკვეთის ღირებულება 480 ლარი (600 წლიური საათი) 12 პედაგოგი, პროფესიული პროგრამები	360 ლარი (800 საათი საკონცერტმაისტეროდატვირთვა)-2 კონც. 360 ლარი-18 საათი კვირეული დატვირთვა (I-XI კლასები) 10 მასწ.
<p>გთხოვთ, მიუთითოთ სახელფასო ანაზღაურების გაცემის კრიტერიუმები (საათობრივი ანაზღაურების შემთხვევაში, მიუთითეთ ოდენობა)</p> <p>კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლებისათვის-მაქსიმალური 1 საათი წლიური დატვირთვა-1.2 ლარი (საათობრივი ანაზღაურების შემთხვევაში ეს შეადგენს 12 ლარს ყოველ ჩატარებულ საათში;</p> <p>საშუალო 1 საათი წლიური დატვირთვა-0.8 ლარი (საათობრივი ანაზღაურების შემთხვევაში ეს შეადგენს 8 ლარს ყოველ ჩატარებულ საათში;</p> <p>სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებზე 1 საათი კვირეული დატვირთვა შეადგენს 20 ლარს</p> <p>ეს მონაცემები გულისხმობს დარიცხულ ხელფასს.(ხელზე ასადები ანაზღაურება, შესაბამისად, 20%-ით ნაკლებია)</p>		

10. მოსწავლეთა რიცხვით ოდენობა	რაოდენობა სპეციალობების და კლასების მიხედვით	შენიშვნა
სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებზე 110 მოსწ.	ფორტეპიანო: I კლასი 9 მოსწ., II კლასი - 9 მოსწ. III კლასი-10 მოსწ. IV კლასი-9 მოსწ. V კლასი-10 მოსწ. VI კლასი-5 მოსწ. VII კლასი-4 მოსწ. VIII კლასი-3 მოსწ. IX კლასი----X კლასი-1 მოსწ. XI კლასი-	სულ- ფორტეპიანო-60 მოსწავლე; ვიოლინო-13 მოსწავლე; საგუნდო-სადირიჟორო-37 მოსწავლე.

	<p>სულ 60 მოსწ.</p> <p>ვიოლინო: I კლასი 2 მოსწ. IIკლასი -3 მოსწ.</p> <p>IIIკლასი-2 მოსწ. IVკლასი-1 მოსწ.</p> <p>Vკლასი-2 მოსწ. VIკლასი-1 მოსწ.</p> <p>VIIკლასი-1 მოსწ. VIIIკლასი-1 მოსწ.</p> <p>სულ-13 მოსწ</p> <p>საგუნდო-სადირიჟორო:I კლასი -6 მოსწ. IIკლასი - 10 მოსწ.</p> <p>IIIკლასი-1 მოსწ. IVკლასი-2 მოსწ.</p> <p>Vკლასი-3 მოსწ. VIკლასი-5 მოსწ.</p> <p>VIIკლასი-2 მოსწ. VIIIკლასი-3 მოსწ.</p> <p>IXკლასი-4Xკლასი-1 მოსწ. XIკლასი-0</p> <p>სულ 37 მოსწ.</p>	
<p>პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე- 23 პროფესიული სტუდენტი</p>	<p>ა)შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმაისტერი)-6 პროფესიული სტუდენტი</p> <p>ბ)გუნდის ლობზარი/რეგენტი-3 პროფესიული სტუდენტი</p> <p>გ)ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალი-14 პროფესიული სტუდენტი</p>	
<p>კურსდამთავრებულთა ოდენობა, რომლებმაც სწავლა განაგრძეს პროფესიულ/უმაღლეს საფეხურზე (სასწავლებელში მიღებული განხრით)</p>	<p>(2014-2017 წლების მონაცემებით)- პროფესიულ საფეხურზე 7 უმაღლეს საფეხურზე 2</p>	<p>პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა 60 % დასაქმებულია მიღებული სპეციალობით, კონცერტმაისტერებად, გუნდის დირიჟორებად, ანსამბლების და ვოკალური ჯგუფების ხელმძღვანელებად. გორის ქალთა კამერული გუნდის 23 მომღერლიდან ამჟამად 8 კოლეჯის სტუდენტი და კურსდამთავრებულია</p>

11. სასწავლებელში ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა კოეფიციენტი(პროფესიული სტუდენტები)			
სასწავლო წელი	ჩარიცხა	დაასრულა (სრული კურსი)	
2013-2014	10	5	
2014-2015	10	10	
2015-2016	7	2	
2016-2017	9	7	
2017-2018	10	7	

12. ინფორმაცია შშმპ, სსსმ პირების შესახებ, მათი ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული/დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე
<p>სსიპ-ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი მდებარეობს ორსართულიან, კაპიტალურ შენობაში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები ითვალისწინებს ადაპტირებული გარემოს შექმნას შეზღუდული შესაძლებლობის პირთა (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა (სსსმ) კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობისათვის.</p> <p>კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივლისის №1/22 ბრძანებით დამტკიცებული განახლებული „სსიპ-ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლით განსაზღვრულია „სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ჩართვის წესი:</p> <p>1.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:</p> <p>ა) დაწესებულების შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით;</p> <p>ბ) დაცვის სამსახურის თანამშრომლის გამოყოფას შეუფერხებელი გადაადგილებისათვის დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე.</p> <p>გ) ადმინისტრაციის თანამშრომლის მიმაგრებას, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირის კომუნიკაცია-კონსულტაციას ყველა</p>

სტრუქტურულ ერთეულთან.

2.საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას(მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ანაკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

3.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის ანხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

აღნიშნული წესის თანახმად, კოლეჯის შესასვლელი და პირველი სართული (საკონცერტო დარბაზის ჩათვლით) აღჭურვილია ხის ასაკეცი პანდუსებით, რომლებიც საჭიროა შეიცვალოს უფრო კაპიტალური და მოხერხებული თანამედროვე მსუბუქი კონსტრუქციით, ადაპტირებულია ერთი სველი წერტილი, პირველ სართულზევე არის მათთვის საჭიროების შემთხვევაში სამეცადინო პირობების შექმნის შესაძლებლობა.

კოლეჯის პირველი სართულიდან მეორეზე ასასვლელი კიბე მომრგვალებულია, მასზე შეუძლებელია პანდუსის მოწყობა, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ლიფტის დამონტაჟებაა, რაც კულტურისა და სპორტის სამინისტროს დამატებითი დაფინანსების გარეშე წარმოუდგენელია.

დირექტორის სპეციალური ბრძანების თანახმად, დაცვის თანამშრომელი ვალდებულია, დაეხმაროს სსსმ ან შშმ პირს შეუფერხებელ გადაადგილებაში კოლეჯის ტერიტორიაზე (I სართული), ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომელი უზრუნველყოფს მის კომუნიკაცია-კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან.

13. ინფორმაცია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების თაობაზე

14. მოსწავლეთა მონაწილეობა და მიღწევები ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებში (2015-2018 წ.წ.)

2015 წ.-პირველი პრემია და ლაურეატის ოქროს მედალი, კომპოზიტორთა კავშირის სპეციალური პრემია ნომინაციაში „ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის“ კოლეჯის მოსწავლეთა გუნდს საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების პირველ საგუნდო კონკურსზე. პირველი პრემია მიენიჭა აგრეთვე უმცროსკლასელთა გუნდს.ორივე გუნდის ხელმძღვანელს, დირიჟორ ნინო წიკლაურს გადაეცა საუკეთესო დირიჟორის, ქორმაისტერის პრემია.

2016 წ. გრან-პრი უფროსკლასელთა, პირველი პრემია და ლაურეატის ოქროს მედალი უმცროსკლასელთა გუნდს საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეორე საგუნდო კონკურსზე. დირიჟორ ნინო წიკლაურს გადაეცა საუკეთესო დირიჟორის (ქორმაისტერის) პრემია.

2017 წ.პირველი პრემია და ლაურეატის ოქროს მედალი უმცროსკლასელთა გუნდს საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მესამე საგუნდო კონკურსზე. სპეციალური პრიზები გერმანული და ქართული საგუნდო ნაწარმოებების საუკეთესო შესრულებისათვის.

საშემსრულებლო პროგრამის III კურსის სტუდენტმა ლაშა მუზაშვილმა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „მომავლის ვარსკვლავები“ გაიმარჯვა ნომინაციაში „საინტერესო ექსპერიმენტი“ ვოკალური ხელოვნების სტუდენტი მარი მარნაძე და მოსწავლე მარიამ მეფარიშვილი გახდნენ დავით ანდლულაძის სახელობის ვოკალისტთა პირველ საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტები. ხოლო საფორტეპიანო განყოფილების მეოთხე კლასის მოსწავლემალექსანდრე მჭედლიძემ მოიპოვა მესამე ადგილი კონკურსზე „ჰარმონია“, ხოლო მეშვიდე კლასის მოსწავლე ნათია კავსაძე დიპლომანტი გახდა.

მეცხრე კლასის მოსწავლე საბა წიწიკაშვილი(ვიოლინო) მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალებში „ჰარმონია“ თურქეთსა და ბათუმში.წარმატებები მოიპოვეს მოსწავლეებმა ბორჯომის ფესტივალზეც.

კოლეჯის სამუსიკო სემინარიის მოსწავლეთა გუნდი წარმატებით თანამშრომლობს საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან. 2016 წლის თებერვალში თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში კოლეჯის გუნდმა საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან და მსოფლიო დონის მევიოლინე გიდონ კრემერთან ერთად პირველად საქართველოში შეასრულა კომპოზიტორ გია ყანჩელის „სევდის ანგლოზები“.

2017 წლის მარტში ერთობლივად შესრულდა მალერის მეორე სიმფონია და მოცარტის Laudate Dominum, სოლისტი ნინო სურგულაძე;

საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრის ფესტივალზე „Alla KONTRAPUNKT“ 9 -12 მაისს შესრულდა გია ყანჩელის ორი ნაწარმოები „სევდა ნათელი“ და „იავნანა მზეს“. 12 მაისის კონცერტზე ბატონმა გია ყანჩელმა განაცხადა, რომ გადაწყვიტა, სპეციალურად დაეწერა ნაწარმოები გორის სამუსიკო კოლეჯის ბავშვთა გუნდისათვის და 17 ოქტომბერს შედგა ამ ნაწარმოების, გია ყანჩელის „დედა ენის“ მსოფლიო პრემიერა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

N	15. 2015-2018წწ. სასწავლებლის მიერ განხორციელებული პროექტები	ბიუჯეტი	დამფინანსებელი (სამინისტრო, დონორები და სხვ.წილობრივი მონაწილეობის და თანხის ოდენობის მითითებით)
2015წ.			

2016წ.			
2017წ.			
2018წ.	(განხორციელებული/დაგეგმილი)		

16. სწავლის შედეგების შეფასება
<p>აღწერა, შეფასება კოლეჯში შემუშავებული და დირექტორის 2016 წლის 29.07 #1/23 ბრძანებით დამტკიცებულია ქ.გორის ს.ცინცადის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესი, რომელიც აწესრიგებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესსა და პირობებს.</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაანგარიშება ხდება კრედიტებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის ბრძანება №121/ნ -ის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის მოცულობის განსაზღვრისათვის გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში.</p> <p>კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობას, ინდივიდუალურ მეცადინეობას, სარეპეტიციო მეცადინეობას, საკონცერტო შესრულებას და გამოცდის ჩაბარებას.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით: შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კოლეჯის კურსდამთავრებულს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროფესიულ კვალიფიკაციას, დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს კოლეჯი საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგებისა და საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე</p> <p>საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ, როგორც წესი, ვიწვევთ პროფესორებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიდან.</p> <p>სამუსიკო სკოლისგარეშე პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების ძირითადი სახეა გამოცდა, გამორჩეულ მოსწავლეთა მიღწევები ფასდება აგრეთვე დახურულ და ღია კონცერტებზე, კონკურსებზე გამოსვლისას.</p>

17. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

აღწერა,

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სისტემა: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დამტკიცების შეფასებისა და განხორციელების წესი; ანკეტა-კითხვარები: სილაბუსების შემოწმების ფორმა; კითხვარი სტუდენტებისათვის; სამუშაო გარემოს შესწავლა; კითხვარი პროფესიული მასწავლებლებისათვის; დამსაქმებლის კითხვარი; პედაგოგთა თვითშეფასების კვლევა, რომელთა საფუძველზეც ახდენს სასწავლო პროცესის სისტემატურ მონიტორინგს. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის და სტუდენტებთან და მასწავლებლებთან უკუკავშირის განხორციელებისათვის შემუშავებულია ანკეტა-კითხვარები, რომელთა შედეგების განზოგადება ხდება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სისტემატურად წარმოებს ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი. გამოკითხვა ხდება როგორც ანონიმურად, ისე ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო ინტერვიუს საშუალებით, კოლეჯის, პროფესიული განათლების ცენტრისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ონლაინ-კითხვარებით: კოლეჯის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მისი ხარისხის მდგომარეობის შეფასება.

18. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა (რეგულაციები და მექანიზმები)

აღწერა, შეფასება

კოლეჯი ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2014 წლის 29 დეკემბერს ბრძანება # 164/ნ დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი“.

1. “პროფესიული განათლების მასწავლებლის (შემდგომში - მასწავლებელი) პროფესიული ეთიკის კოდექსი“ (შემდგომში – ეთიკის კოდექსი) წარმოადგენს ზოგადი პრინციპების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიული ქცევის წესს.

2. ეთიკის კოდექსის მიზანია მასწავლებელთა ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრება, მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვა .

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში - დაწესებულება) შინაგანაწესი უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის კოდექსს.

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული და პედაგოგიური საბჭოს მიერ 2016 წლის 12 სექტემბრის სხდომაზე დამტკიცებულია ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ეთიკის კოდექსი და კოლეჯის სინაგანაწესი.

ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის რეგულაციის მიზნით კოლეჯში შემუშავებულია და დირექტორის 2017 წლის #1/13 ბრძანებით დამტკიცებულია დისციპლინური წარმოების წესი, შექმნილია დისციპლინარული კომიტეტი (ბრძ.#1/9 07.04.2017წ.)

19.

□ ბენეფიციართა შერჩევა

გთხოვთ, აღწეროთ რა კრიტერიუმებით ხდება ბენეფიციართა და სამიზნე ჯგუფების შერჩევა, მოსწავლეთა კონტიგენტის დაგეგმვა.

კოლეჯის კონტინგენტის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 2016 წლის 22 დეკემბრის #49 გადაწყვეტილებით და შეადგენს 200 ადგილს. ცალკეულ პროფესიულ პროგრამაზე ყოველ წელს სტუდენტების მისაღები ადგილების კვოტა განისაზღვრება ასევე ავტორიზაციის საბჭოს მიერ, კოლეჯის განაცხადის საფუძველზე.

კოლეჯს ჰყავს სასწავლო პრაქტიკის და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც:

- ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე;
- მოვალეობები:
- აბიტურიენტებთან ურთიერთობა და მათი ინფორმირება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის, პრეზენტაციების ორგანიზება საზოგადოებისათვის;
- სტუდენტთა ღონისძიებების ორგანიზება;
- სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებზე განაწილება და ზრუნვა მათი შემდგომი დასაქმების კუთხით;
- რეესტრში სტუდენტების, მათ შორის კურსდამთავრებული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მუდმივი განახლება და მათი ასახვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში;
- სტუდენტებთან მუშაობა და თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურად გამოკვლევა;
- ბიზნეს-კონფერენციების ორგანიზება; სტუდენტების, პედაგოგების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ინტერვიუება კოლეჯის ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული და ონლაინ-კითვარების საშუალებით
- დამსაქმებელთან შეხვედრები, მათთან მუშაობა სტუდენტების პრაქტიკასა და დასაქმებასთან დაკავშირებით მათი რჩევების გაზიარება;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- SWOT ანალიზების ჩატარება კოლეჯში;
- ასრულებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოვალეობებს;
- კოლეჯის საქმიანობისთვის პიარ სტრატეგიის დაგეგმვა და განხორციელება;
- პიარ ლიტერატურის – ფლაერების, ბუკლეტების და სხვ. შექმნა-გავრცელებაში, ასევე საიმიჯო და საინფორმაციო სტატიების მომზადებაში მონაწილეობა, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში გავრცელება;
- კოლეჯის საქმიანობის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების/ან რადიოსა და ტელევიზიაში გასული სიუჟეტების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში საპასუხო მასალების მომზადება და გავრცელებისთვის საკომუნიკაციო არხების შერჩევა;

20. პერსონალის ტრენინგ-კურსები/კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები

კურსის დასახელება	თემა	განმახორციელებელი ორგანიზაცია	ვადები	მონაწილეთა რაოდენობა	საფასური	დაფინანსების წყარო
ტრენინგი საჯარო პროფესიული / საზოგადოებრივი კოლეჯებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების განვითარების მიმართულებით.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების განვითარება. ტრენინგში მონაწილეებმა შემდგომში ადგილზე უნდა გაუწიონ კონსულტაციები თანამშრომლებს პროგრამების და სილაბუსების განახლების პროცესში.	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური .	1 დღე	4	-	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი
საშემოდგომო მიღების აპლიკანტთა რეგისტრატორების ტრენინგი.	პროფესიული ტესტირების დროს აპლიკანტთა რეგისტრაციის გაცნობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი	1 დღე	1	-	-
საშემოდგომო მიღებისათვის ანკეტა-კითხვარის შევსებასთან დაკავშირებული ტრენინგი	საშემოდგომო მიღებისათვის ანკეტა-კითხვარის შევსების გაცნობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი	1 დღე	2		
ტრენინგი - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შიდა კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესება.	პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შიდა კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესება.	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	1	2		
კომპანია "ინგლისური წიგნი საქართველოში" - ტრენინგი ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის.	ინგლისური ენის სახელმძღვანელო „Open Mind“ გაცნობა და განხილვა.	კომპანია "ინგლისური წიგნი"	3 დღე	1		
განათლების სამართლის სემინარი.	1. განათლების სამართლის მიმართ წაყენებული მოთხოვნები; 2. ხარისხის კულტურა: ხარისხის უზრუნველყოფის ხელშემწყობი შიდა და	ნიუვიჟენ უნივერსიტეტი	2 დღე	1		

	<p>გარე მექანიზმები;</p> <p>2. თვითშეფასების კავშირი კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან, დარგობრივ მახასიათებლებთან და დაწესებულების შიდა სტანდარტებთან;</p> <p>3. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საქმისწარმოება: მამიებლად ცნობიდან - გადაწყვეტილების მიღებამდე;</p> <p>4. აკრედიტაციის საქმისწარმოების პრაქტიკის განზოგადება.</p>					
<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი გარემოსა და საჭირო მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების შემუშავების პროცესი და მასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხები</p>	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი გარემოსა და საჭირო მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების შემუშავების პროცესის და მასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხების განხილვა.</p>	<p>განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო</p>	1 დღე	2		
<p>ტრენინგი-საჯაროდაკერძოსკოლისი ნგლისურიენისმასწავლებლებისათვის, ასევეპროფესიულიკოლეჯებისადაუნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებისათვის.</p>	<p>1. Pair and group work: it's not what you do, but how you do it;</p> <p>2. Listening skills: the coursebook and beyond</p> <p>3. Error correction: how and why?</p>	<p>შპს „ინგლისურიწიგნისაქართველოში“, Macmillan Education</p>	3 დღე	1		
<p>ზოგადი კომპეტენციების მოდულების განხილვა პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებისათვის.</p>	<p>ახალი პროგრამის ჩარჩო ითვალისწინებს სავალდებულო ზოგადი კომპეტენციების მოდულებს, სავალდებულო პროფესიულ მოდულებსა და არჩევით პროფესიული მოდულებს.</p>	<p>პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის ხელშეწყობის პროგრამის სამსახური</p>	1 დღე	1		
<p>„ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგი პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისთვის“.</p>	<p>მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების</p>	<p>სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“.</p>	4 დღე	20		

	<p>ინტეგრირების გზით სასწავლო გარემოს გაუმჯობესება;</p> <p>1. პროგრამებში Microsoft Office PowerPoint, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook მუშაობ ადა სასწავლო რესურსების შექმნა სასწავლო პროცესში გამოყენების მიზნით.</p> <p>2. ინტერნეტ-რესურსების: საძიებო სისტემების, ელექტრონული ფოსტის გამოყენება, ინფორმაციის გადმოწერა ინტერენტიდან;</p>					
ტრენინგი - „განათლების ხარისხი და ელექტრონული მართვა“.	<p>„განათლების ხარისხი და ელექტრონული მართვა“.</p> <p>ტრენინგის მიზანია განათლების ხარისხთან, ავტორიზაციასთან და აკრედიტაციასთან დაკავშირებული ავტომატიზაციის პროცესების გაცნობა.</p>	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	1 დღე	1		
მოდულური პროგრამების დანერგვის ახალ ეტაპთან დაკავშირებული საკითხების განიხილვა.	<p>მოდულური პროგრამების დანერგვის ახალ ეტაპთან დაკავშირებული საკითხების განიხილვა;</p> <p>პრეზენტაცია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული განათლების მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების შესახებ.</p>	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა.	1 დღე	1		
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით და მილენიუმის პროექტით კარიერის მენეჯერების ტრენინგი.	<p>სასწავლებლის ბაზაზე პრაქტიკის მასწავლებელთა ტრენინგების დაგეგმვა.</p>	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	2 დღე	1		
მენეჯერების/ხელმძღვანელების ტრენინგი.	<p>მენეჯერების/ხელმძღვანელების ტრენინგი.</p> <p>შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის გამოყენება.</p>	MCA-G პროექტი „პროფესიული განათლება ა ეკონომიკის განვითარებისათვის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით	1 დღე	2		

მენეჯერების/ხელმძღვანელების ტრენინგი.	მენეჯერების/ხელმძღვანელების ტრენინგი. შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის გამოყენება.	MCA-G პროექტი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით	1 დღე	2		
პროფესიული განათლების ინგლისური ენის მასწავლებელთა დონის განმსაზღვრელი ტესტი.	მასწავლებლების საჭიროებების დადგენა, შემდგომი ტრენინგების დაგეგმვისა და პროფესიული განვითარების მიზნით.	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	1 დღე	1		
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტი/PAO ხელმძღვანელობით - ტრენინგ-სემინარი.	ევროკავშირის დახმარების პროგრამების/ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა, მათი კრიტერიუმები და პრიორიტეტები, რათა უკეთ მოხდეს მათი გამოყენება ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში.	ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტი/PAO	1 დღე	1		
მუსიკის რეპეტიტორის პროფესიის პედაგოგების გადამზადების ტრენინგი.	სასწავლო პროცესში მასში შემავალი საკითხების სწორი მეთოდური და პრაქტიკული მიწოდება პროფესიული პროგრამის მოსწავლეებისთვის.	პროფესიულკვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	3 დღე	5		
პიანისტ-აკომპანიატორის პროფესიის პედაგოგების გადამზადების ტრენინგი.	სასწავლო პროცესში მასში შემავალი საკითხების სწორი მეთოდური და პრაქტიკული მიწოდება პროფესიული პროგრამის მოსწავლეებისთვის.	პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	3 დღე	6		
საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულურ სწავლებაში	1. პროფესიული სტანდარტების შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ ცოდნა; 2. მოდულის/პროგრამის სკემის შესახებ ცოდნა; □□ სტუდენტთა შეფასების წესები და მეთოდების ცოდნა; □□ მასწავლებელთა კომპეტენციები მოდულური სწავლების დანერგვასთან დაკავშირებით.	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	1 დღე	20		

<p>ტრენინგის სასწავლო მიზნები და პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთაშორისო მობილობის მოდულის განხილვა.</p>	<p>სწავლის შედეგები – ტრენინგის სტრუქტურა მასწავლებლების საერთაშორისო მობილობა– დადებითი და უარყოფითი მხარეები.</p>	<p>ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი (EUVEGE), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.</p>	<p>2 დღე</p>	<p>3</p>		
<p>საინფორმაციოშეხვედრაპროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამებისგანმახორციელებელიდაწესებულებებისწარმომადგენლებთან. ორგანიზატორი: პროფესიულიგანათლების ხარისხისუზრუნველყოფისსამსახური.</p>	<p>შეხვედრაზე განხილული საკითხები: 1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ახალი ფორმების გაცნობა; 2. ცვლილებები ავტორიზაციის დებულებაში; 3. ავტორიზაციის საფასურების ცვლილება და გადახდის წესი.</p>	<p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p>	<p>1 დღე</p>	<p>2</p>		
<p>პრეზენტაცია „სტრატეგიული დაგეგმვის გზამკვლევი პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლებისთვის“ ორგანიზატორი: ევროკავშირის ტექნიკური დახმარების „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ხელშეწყობის პროექტი“ .</p>	<p>აღნიშნული გზამკვლევი დაფუძნებულია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებულ სტანდარტებზე და მიზნად ისახავს, დაეხმაროს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს მაქსიმალურად ეფექტური და ინსტიტუციაზე მორგებული სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში. განხილული საკითხები: 1. სტრატეგიული დაგეგმვის როლი პროფესიული განათლების რეფორმაში / მიმდინარე რეფორმის მიმოხილვა/მირითადი სიახლეების გაცნობა. 2. სტრატეგიული</p>	<p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი ,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი (EUVEGE)</p>				

	<p>დაგეგმვის მნიშვნელობა პროფესიული პროგრამების ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესში.</p> <p>3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის როლი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯერების განვითარების მიმართულებით.</p> <p>4. ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის აქტივობები პროფესიული განათლების მენეჯერების გაძლიერების მიმართულებით.</p>				

21.

დაწესებულების საქმიანობის დაგეგმვა

გთხოვთ, აღწეროთ დაწესებულების საქმიანობის დაგეგმვის წინაპირობები (რა ტიპის საქმიანობის, რომელი კვლევების შედეგების, სტატისტიკური მონაცემების და ან სხვ. საფუძველზე ხდება ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- გორის სამუსიკო კოლეჯს შემუშავებული და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული განვითარების გეგმაში დასახული ამოცანები შეესაბამება კოლეჯის მისიას, ექვსწლიანი გეგმა შემუშავებულია პროგრამის სახით, SWOT ანალიზისა და გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გათვალისწინებით და ითვალისწინებს კოლეჯის საგანმანათლებლო, საშემსრულებლო და შემოქმედებითი საქმიანობისა და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესებისათვის გასატარებელ ღონისძიებებს. ერთწლიან გეგმაში დეტალურადაა წარმოდგენილი მატერიალური და ადამიანური რესურსების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტული ამოცანები. კოლეჯი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ყოველწლიურად წარადგენს ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ერთწლიან სამოქმედო პროგრამას, სამოქმედო გეგმა-გრაფიკს და საშტატო განრიგს. 2016 წელს დამტკიცებული კულტურის სტრატეგიის პოლიტიკის შესაბამისად, აგვისტო-სექტემბერში შემუშავდა აგრეთვე კულტურის სტრატეგიის 2017-2018 წლების პრიორიტეტების გეგმა, სადაც განისაზღვრა გორის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიის პრიორიტეტებიც.

<p>22. საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის შესაბამისობა „კულტურის სტრატეგია 2025“ დოკუმენტა (მიზნების და ამოცანების, შესაბამისი აქტივობების ჩამონათვალი, განხორციელების პერიოდის მითითებით)</p>	
<p>2017წ.</p>	<p>ახალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად 2017 წლის იანვრიდან 2018 წლის სექტემბრამდე სამუსიკო პროფესიული სახელოვნებო განათლების სრულყოფისა და განვითარების მიზნით მიმდინარეობს სამუსიკო პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს განახლება. განახლებულია 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შემუშავებულია 6 სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი და მასში შემავალი სასწავლო მოდულები.</p> <p>ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებული, სოციალურად დაუცველი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების, ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფ ზოლთან მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით სხვა და სხვა პროექტის განხორციელება</p> <p>ჩატარდა კოლეჯის მოსწავლეთა და სტუდენტთა კონცერტი შიდა ქართლის საზღვრისპირა სოფელ ნიქოზში, იძულებით გადაადგილებული, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები სწავლობენ კოლეჯთან არსებულ სამუსიკო სემინარიაში, შემსრულებელ ილუსტრატორის პროფესიულ პროგრამაზე, მონაწილეობენ კოლეჯის ყველა ღონისძიებაში. კოლეჯის სტუდენტები და პედაგოგები მონაწილეობენ ნიქოზის ხელოვნების ცენტრში გამართულ კულტურულ ღონისძიებებში.</p>
<p>2018წ.</p>	<p>კოლეჯის სტუდენტები და პედაგოგები ივნისში კვლავ ჩაატარებენ კონცერტს ნიქოზში და მიიღებენ მონაწილეობას ნიქოზის ეპარქიასთან არსებულ ხელოვნების ცენტრში გამართულ სხვა კულტურულ ღონისძიებებში.</p> <p>მიმდინარეობს მზადება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უკვე დამტკიცებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დასანერგად. 2018 წლის საშემოდგომო მიღებისათვის (ოქტომბერი) კოლეჯში დაინერგება 2 ახალი მოდულური პროგრამა.</p> <p>კოლეჯის მასწავლებლები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სამუშაო ჯგუფების მიერ შექმნილი პროგრამების სრულყოფაში, რათა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2018 წლის სექტემბრამდე დასრულდეს მათი დამტკიცების პროცესი.</p>

--	--

23. მონიტორინგის, შეფასების მექანიზმები

გთხოვთ, აღწეროთ სასწავლებელში დამკვიდრებული მონიტორინგისა და აშეფასების (სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, პასუხისმგებლობის სფეროები).

ყოველწლიურად, ივნისის ბოლოს, კოლეჯი ვალდებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს თვითშეფასების კითხვარი-წლიური ანგარიში, სადაც თავმოყრილია სრული ინფორმაცია დაწესებულებისა და საანგარიშო პერიოდში საქმიანობის შესახებ, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისა და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვის გათვალისწინებით. გარდა ამისა, 2016 წელს კოლეჯმა გაიარა მორიგი ავტორიზაციის პროცედურა, და ხარისხის ცენტრში წარადგინა ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარი, იურიდიული სტატუსის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კოლეჯში განხორციელებული სასწავლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების, დაწესებულების წესდების, შინაგანაწესის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესების ამსახველი სხვა დოკუმენტაციის შესახებ; დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფართის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები/ფუნქციონირების მარეგულირებელი დოკუმენტ(ებ)ი; დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები; დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის - პროფესიული მასწავლებლების /მოწვეულიპერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (Curriculum Vitae, კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების, სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია); დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან - პროფესიულ მასწავლებლებთან დადებული მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (SWOT ანალიზი ან/და სხვა) ამსახველი დოკუმენტაცია. SWOT ანალიზი, დადასტურებული თანდართული სათანადო დოკუმენტებით. ავტორიზაციის მთელმა პროცედურამ წარმატებით ჩაიარა: 2016 წლის 22 დეკემბერს კოლეჯს 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება და მისი კონტინგენტი განისაზღვრა 200 ადგილით.

24. სამოქმედო გეგმა -2018 წ.

№	მიზანი	აქტივობა	ვადა	რესურსები	პასუხისმგებელი პირი/პირები
---	--------	----------	------	-----------	----------------------------

1.	მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოწესრიგებული კოლეჯის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები	კოლეჯის საკანონმდებლო ბაზის წესრიგში მოყვანა და დამტკიცება	1 სექტემბრამდე	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	დირექტორი-ნ. მანჯავიძე, საავტორიზაციო ჯგუფი
2.	მოწესრიგებული ბაზა eVet.ge-ze	კოლეჯის მონაცემთა ცვლილებების სისტემატური ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში	სისტემატურად	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	რეესტრზე კ/მგ პირი-ნ. გივიაშვილი
3.	რეგულარულად განახლებადი, ინფორმაციულად საინტერესო ვებგვერდი	კოლეჯის ვებგვერდის მართვის გაუმჯობესება	ივლისი-აგვისტო	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	ნ. გივიაშვილი, შ.ცერცვაძე
4.	კოლეჯის მისიის შესაბამისად დაგეგმილი საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები	2017-2022 წლების გრძელვადიანი, სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობის განხილვა, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად	15 სექტემბრამდე	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	ნ. მანჯავიძე, სამეთვალყურეო საბჭო
5.	დამტკიცებული 2019 წლის სამოქმედო პროგრამა	2019 წლის სამოქმედო პროგრამისა და გეგმის შემუშავება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად	15 დეკემბრამდე	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	სამუშაო ჯგუფი, ნ. მანჯავიძე, სამეთვალყურეო საბჭო
6.	ოპტიმალური ბიუჯეტისთვის დამატებითი სახსრების მოძიება	კოლეჯის 2019 წლის საბიუჯეტო განაცხადის შემუშავება და კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარდგენა	10 აგვისტომდე	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	დირექტორი, მთ.ბუღალტერი
7.	დაგეგმილი ბიუჯეტი	კოლეჯის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენა	15 დეკემბრამდე	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	დირექტორი, მთ.ბუღალტერი
8.	სამეცადინოდ და საკონცერტოდ აწყობილია	სასწავლო აუდიტორიებსა დასაკონცერტო	სისტემატურად	კოლეჯის ბიუჯეტი,	მატერიალური რესურსების მენეჯერი,

	მოწესრიგებული ინსტრუმენტები	დარბაზებში მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობა-შეკეთება			მუსიკალური. ინსტრუმენტების ამწყობი,
9.	ანალიზი, შეფასება	2017 წლის სამოქმედო პროგრამის და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე	იანვარი	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	დირექტორი
10.	ახალი ლიტერატურა	ბიბლიოთეკისა და ფონოთეკის ფონდების განახლება	სისტემატურად	კოლეჯის ბიუჯეტი, შემოწირულობები	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბიბლიოთეკარის გამგე, ფონოთეკარი
11.	ახალი მოდულური პროგრამები	ახალი, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების (მოდულური პროგრამების) შემმუშავებელი კომისიების მუშაობაში კოლეჯის პედაგოგთა მონაწილეობის გაგრძელება	საჭიროების მიხედვით	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	ნ.მანჯავიძე, თ.სოსანიძე, თ.მშვიდლობაძე, თ.აბრამიძე, თ.ცირამუა
12.	ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ დამტკიცებული მოდულური პროგრამების დამატება და მიღების გამოცხადება საშემოდგომო მიღებისას	ცენტრის მიერ უკვე დამტკიცებული სამუსიკო მოდულური პროგრამების საავტორიზაციოდ წარდგენა	აპრილი-ივნისი	პროგრამების დამატების საფასური-3500 ლარი (კულტურისა და სპორტის სამინისტროს დახმარებით)	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,
13.	პროფესიული განათლების გადამზადებული მასწავლებლები	მოდულური პროგრამების სპეციფიკის გაცნობის მიზნით გამართულ ტრენინგებში პედაგოგთა მონაწილეობა	საჭიროების მიხედვით	კოლეჯის ბიუჯეტი, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად
14.	ანალიზი,	სასწავლო პროცესის	სისტემატურად	კოლეჯის	ხარისხის

	საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა	მიმდინარეობის მონიტორინგი,		ბიუჯეტი,	უზრუნველყოფის სამსახური,
15.	სწავლების უკეთესი ხარისხის შეთავაზება სტუდენტებისათვის	კოლეჯის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თანამშრომლობა კონსერვატორიის ხარისხის სამსახურთან	სისტემატურად	კოლეჯის ბიუჯეტი,	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,
16.	ანალიზი. სწავლის შედეგების გაუმჯობესება	პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართულობის მონიტორინგი.	სისტემატურად	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,
17.	პროფესიული სტუდენტებისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასება	სასწავლო პროცესის წარმართვა სასწავლო გეგმის შესაბამისად	სისტემატურად	არ საჭიროებს დამატებით რესურსებს	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,
18.	პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება	საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება	ივლისი	კოლეჯის ბიუჯეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიების მოწვეული თავმჯდომარეები
19.	საგუნდო ხელოვნების პოპულარიზაცია	კოლეჯის ბაზაზე IV ეროვნული საგუნდო ფესტივალის შიდა ქართლის ტურის ჩატარება	აპრილი	საქართველოს საგუნდო საზოგადოებას თან ერთად	დირექცია, ხარისხის სამსახური, საგუნდო საზოგადოება
20.	საშემსრულებლო პრაქტიკა	საშემსრულებლო პრაქტიკა: ტრადიციული კონცერტი ნიქოზის ეპარქიის საკონცერტო დარბაზში	ივნისი	კოლეჯის ბიუჯეტი,	ხარისხის სამსახური, პრაქტიკის ხელმძღვანელები
21.	კოლეჯის პრესტიჟის და ცნობადობის ამაღლება	კოლეჯის გუნდისა და საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ერთობლივი პროექტის გაგრძელება	წლის განმავლობაში		დირექტორი, ნ.წიკლაური,
22.	საშემსრულებლო პრაქტიკა	კოლეჯის აკადემიური კონცერტები	იანვარი, მაისი-ივნისი	კოლეჯის ბიუჯეტი,	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,
23.	გამოკითხვების	პროფესიულ	II, IV კვარტალი	კოლეჯის	ხარისხის

	შედეგები, ანალიზის შედეგები, შემუშავებული რეკომენდაციები თვითშეფასების შევსებული და წარდგენილი კითხვარი	სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა, თვითშეფასების და სხვა გამოკითხვების ჩატარება, მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება თვითშეფასების კითხვარი		ბიუჯეტი,	უზრუნველყოფის სამსახური, პროფორი ენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
24.		კოლეჯის გუნდის მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებში, თბილისის, გორის საერთაშორისო საგუნდო ფესტივალებში.	აპრილი-ივნისი		კოლეჯის დირექცია, ნ.წიკლაური
25.		ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	12-14 აპრილი (გეგმის მიხედვით)	კოლეჯის ბიუჯეტი,	საორგანიზაციო ჯგუფი
26.		საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	21-28 მაისი (გეგმის მიხედვით)	კოლეჯის ბიუჯეტი,	საორგანიზაციო ჯგუფი
27.	სტუდენტთა და მოსწავლეთა საშემსრულებლო ღონის ამაღლება	კოლეჯის სტუდენტთა და მოსწავლეთა მონაწილეობა საშემსრულებლო კონკურსებსა და სხვა პროექტებში	წლის განმავლობაში		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო ჯგუფი
28.	გამართული ტექნიკური აღჭურვილობა	კოლეჯის ტექნიკური აღჭურვილობის, მოძველებული კომპიუტერული ტექნიკის განხლება და შევსება	აპრილი-სექტემბერი	დანმარებისათვის მივმართეთ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მიმდინარეობს სპონსორების მოძიება	დირექცია კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად
29.	კაპიტალურად მოწყობილი პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილები	შენობაში შშმ სტუდენტებისათვის სწავლისა და გადაადგილების პირობების გაუმჯობესება.	ივლისი-აგვისტო	დანმარებისათვის მივმართეთ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს,	დირექცია კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად

				მიმდინარეობს სპონსორების მოძიება	
30.	სახანძრო უსაფრთხოების სრულყოფილი სისტემა	კოლეჯის შენობაში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების დასრულება-თანამედროვე სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დამონტაჟება	II კვარტალი	პროექტი წარდგენილია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში დაფინანსების მოსამძიებლად	დირექცია კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად
31.	მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა	მიმდინარე სარემონტო სამუშაოები	საჭიროების მიხედვით	კოლეჯის ბიუჯეტი	დირექცია,მატერიალური რესურსების მენეჯერი,

25.გთხოვთ, მიუთითოთ იმ მიმართულებების ჩამონათვალი, რომლის დანერგვის/განვითარების რესურსიც გააჩნია სასწავლებელს, მაგრამ ჯერ ვერ ხორციელდება (მიუთითეთ მიზეზები).

კოლეჯს გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭირო რესურსი და თითქმის 55 წლიანი გამოცდილება. წარმატებით ახორციელებს ამჟამად მოქმედ საგნობრივ პროფესიულ პროგრამებსაც. თუმცა, ახალი, მოდულური პროგრამების დანერგვა ყველა მიმართულებით ჯერჯერობით ვერ ხორციელდება. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული პროგრამების განვითარებისა და დანერგვის დეპარტამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებული და დარგობრივ საბჭოზე განხილულია 8 მოდულური სამუსიკო პროგრამა, თუმცა, დამტკიცებულია მხოლოდ ორი, შესაბამისად, ნებისმიერ კოლეჯს მხოლოდ ამ ორი პროგრამის დამატებისა და განხორციელების უფლება აქვთ. შეჩერებულია სიმღერის, საგუნდო-სადირიჟორო, საშემსრულებლო-სიმებიანი და ჩასაბერი საკრავების ფოლკლორის და სხვა პროგრამები.

26. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში, მ.შ. შენობა-ნაგებობები	ქ.გორი, სამეფო ქ.17 საერთო ფართი-1078,80კვ.მ ინდივიდუალურ სარგებლობაში + 91,7კვ.მ(გორის ქალთა გუნდთან საერთო სარგებლობის ფართის 1/2)
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	769,94 კვ.მ
დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	308,86კვ.მ+91.7საერთო სარგებლობის ფართი

დამატებითი ინფორმაცია:

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცამის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი მდებარეობს ორსართულიან კაპიტალურ შენობაში, რომლის დიდი ნაწილი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემულია საზოგადოებრივი კოლეჯის ინდივიდუალურ სარგებლობაში და საერთო სარგებლობის ფართის 1/2-ში სსიპ გორის ქალთა კამერულ გუნდთან. კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკა, ფონოტეკა, დიდი და მცირე, კომპიუტერული ლაბორატორია და 22 სასწავლო აუდიტორია, სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზები. სასწავლო აუდიტორიები, საკონცერტო, სარეპეტიციო და სპორტული დარბაზები აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარით, მუსიკალური ინსტრუმენტები, მერხები, მაგიდები, დაფები და სხვა ინვენტარი. საკონცერტო დარბაზში დამონტაჟებულია 213 სავარძელი. რამდენჯერმე განახლდა ბიბლიოთეკისა და ფონოთეკის ინვენტარი, კარადები, საწერი მაგიდები.

კოლეჯს აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით. კოლეჯის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, საინვენტარო წიგნის თანახმად, შეადგენს 9977 ერთეულს. ბიბლიოთეკაში არის ლიტერატურა ქართულ და უცხოურ ენაზე. აღრიცხულია ბიბლიოთეკისათვის დადგენილი წესით. არსებობს კატალოგი (ბეჭდური და ელექტრონული). კატალოგი არის ქაღალდის (ანბანური და თემატური) და ელექტრონული. წარმოებს მკითხველთა ბარათები. არსებული ლიტერატურა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

კოლეჯში არის ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, გარემონტებული სანიტარული კვანძები (4 წერტილი), წყლის, ბუნებრივი აირის მოწოდება ხდება უწყვეტად. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა ბუნებრივ აირზე მომუშავე საქვებზე სისტემით, შენობაში არის ბუნებრივი განათება და ვენტილაციის (კონდიციონერის) სისტემები

კოლეჯში შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებს ხანძარსაწინააღმდეგო, პირველადი სამედიცინო დახმარებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებს.

ა) უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კოლეჯს შეძენილი აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, სახანძრო ინვენტარის დაფა, 6 ცეცხლმაქრი, რომლებიც განთავსებულია ორივე სართულსა და საკონცერტო დარბაზში: მათი განახლება საჭიროების შემთხვევაში ხდება სახანძრო სამსახურის მიერ. ხანძარსაწინააღმდეგო პირველადი ჩაქრობის საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა ევალებათ სადღეღამისო დაცვის თანამშრომლებს.

ბ) ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შენობის საევაკუაციო გეგმა, რომელიც შედგენილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, საევაკუაციო გზებზე გამოკრულია საევაკუაციო გზების მაჩვენებლები („საევაკუაციო გასასვლელი“)

გ)კოლეჯში არის სამედიცინო კუთხე მინი-აფთიაქით, სადაც არის ყველა აუცილებელი მედიკამენტი და სხვა საჭირო საშუალებები თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

დ)წესრიგის დაცვას 24 საათიან რეჟიმში უზრუნველყოფს სადღეღამისო დაცვის სამი თანამშრომელი,

კოლეჯის სარგებლობაში არსებულ ფართზე არის ადაპტირებული გარემო სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის, მეორე სართულზე ასასვლელი მრგვალი კიბე არ იძლევა პანდუსის დამონტაჟების საშუალებას, ამიტომ პირველ სართულზე მათთვის შექმნილია ყველა პირობა სწავლისა და საკონცერტო გამოსვლებისათვის, კერძოდ, დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსები და 1 ადაპტირებული სველი წერტილი. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია პიროვნებები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ მათ გადაადგილებასა და კომუნიკაცია-კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან.

კოლეჯს აქვს 14 კომპიუტერი, აქედან 1 ლეპტოპი, თანამედროვე ციფრული ჩამწერი, მოსასმენი და გადამღები აპარატურა, 2 პრინტერი და 5 კომბაინი. მონიტორი (ტელევიზორი) ინტერნეტში ჩართულია 14 კომპიუტერი, მათ შორის, სტუდენტთა სარგებლობაშია 8.

გთხოვთ, წარმოადგინოთ ა. შენობა-ნაგებობასთან, ბ. მატერიალურ ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული პრობლემები.

ა)1.კოლეჯის შენობა ძირითადად კარგ მდგომარეობაშია. თუმცა, საჭიროებს საფუძვლიან კოსმეტიკურ რემონტს:

2.შენობაში შშ პირებისათვის მოწყობილი პანდუსები ხისაა და ვედარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

3. შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შიდა ქართლის სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად მოწესრიგებულია ხანძარსაწინააღმდეგო მექანიზმები.თანხის უქონლობის გამო არ არის დაყენებული მხოლოდ ხანძარსაწინააღმდეგო მაუწყებლობის სისტემა(სიგნალიზაცია). განაცხადი და პროექტი სათანადო ხარჯთაღრიცხვით წარმოდგენილია სამინისტროში და ველოდებით დაფინანსებას.

ბ)1.კოლეჯის საკონცერტო დარბაზის როიალები საჭიროებს საფუძვლიან რესტავრაციას,რაც კოლეჯის ბიუჯეტითა და რესურსებით შეუძლებელია.

2.შესაცვლელია კომპიუტერული ტექნიკა იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომელსაც ახალ პროგრამებსა და ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლა ითვალისწინებს. მოდულურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით მიმდინარეობს რესურსების მოძიება ახალი კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად და სასწავლო გარემოს უკეთესად აღჭურვისათვის.

27. კომუნალური ხარჯები (2015-2017წწ.)			
წელი	ხარჯის სახეობა	ხარჯის წლიური ოდენობა	ხარჯის დაფარვის წყარო
2015	ელ.ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი	13 976	ბიუჯეტი-11 265, საკუთარი სახსრები-2711
2016	ელ.ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი	8540	ბიუჯეტი
2017	ელ.ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი	12291	ბიუჯეტი-11 258, საკუთარი სახსრები-1033

28. პროგრამების თვითღირებულება (დისციპლინების მიხედვით)

- გთხოვთ, მიუთითოთ გაქვთ თუ არა დაანგარიშებული თქვენს მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო კურსების თვითღირებულება (არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ პარამეტრები/შემადგენელი ხარჯები);
- გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხედვა (დაანგარიშება) თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის თვითღირებულების თაობაზე, კლასების/საფეხურების მიხედვით, 1 მოსწავლე 1 სასწავლო წლის განმავლობაში.
- გთხოვთ, წარმოადგინოთ სასწავლებლის დაფინანსების თქვენთვის ოპტიმალური მოდელი.

კოლეჯში განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაანგარიშება კრედიტები, სწავლის ხანგრძლივობა და ღირებულება დამტკიცებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ამ პროგრამებზე 1 წლიური საათის მინიმალური ანაზღაურება შეადგენს 0.8 ლარს (1 განაკვეთი-600 წლიური სთ-15 საათი კვირაში= 480 ლარი დარიცხული ხელფასი),

სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების არსებული ღირებულების გაანგარიშება მოვახდინეთ სამუსიკო 11-წლედის ტიპური სასწავლო გეგმის შესაბამისად 18 კვირეული საათის ღირებულება (დარიცხული ხელფასი შეადგენს 360 ლარს). სასურველი ღირებულების გამოთვლისას, ვიხელმძღვანელოთ იმ მოსაზრებით, რომ საათობრივი ანაზღაურება გაუთანაბრდეს თუნდაც პროფესიულ პროგრამაზე განაკვეთის ღირებულებას (15 აკად. საათი კვირეული დატვირთვა=480 ლარი დარიცხული ხელფასი).

კოლეჯის ბიუჯეტიდან გამომდინარე, გარდა სახელფასო ანაზღაურებისა, პედაგოგებისათვის არავითარი დანამატები არ არის გათვალისწინებული.

წარმოდგენილ განფასებაში არ შედის ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და კომუნალური მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხა.

გთხოვთ, მაგალითისთვის წარმოგვიდგინოთ სასურველი განფასება

ა. ყველაზე მაღალი თვითღირებულების მქონე პროგრამისთვის 1 მოსწავლეზე, 1 სასწავლო წლის განმავლობაში:

პროგრამის დასახელება		არსებული ღირებულება	სასურველი ღირებულება	შენიშვნა
კლასი				
I-VI კლასი	საგუნდო-სადირიჟორო	956	1530	არსებული: 18 სთ=360 ლარს(დარიცხული ხელფასი) სასურველი: 15 სთ=480 ლარს (გაუთანაბრდეს პროფესიულ პროგრამებზე საათის ღირებულებას)
VII-IX კლასი	საგუნდო-სადირიჟორო	1648	2636	„-----“
X-XI კლასი	საგუნდო-სადირიჟორო	1992	3187	„-----“

ბ. ყველაზე დაბალი თვითღირებულების მქონე პროგრამისთვის 1 მოსწავლეზე, 1სასწავლო წლის განმავლობაში:

პროგრამის დასახელება		არსებული ღირებულება	სასურველი ღირებულება	შენიშვნა
კლასი				
I-VI კლასი	ფორტეპიანო, სიმებიანი საკრავები	800 ლარი წელიწადში ერთ მოსწავლეზე	1280 ლარი წელიწადში ერთ მოსწავლეზე	არსებული: 1 სთ=20 ლარს; სასურველი: 1 სთ=32 ლარს (გაუთანაბრდეს პროფესიულ პროგრამებზე საათის ღირებულებას)
VII-IX კლასი	ფორტეპიანო, სიმებიანი საკრავები	1288 ლარი წელიწადში ერთ მოსწავლეზე	2060 ლარი წელიწადში ერთ მოსწავლეზე	„-----“

X-XI კლასი	ფორტეპიანო, სიმებიანი საკრავები	1548 ლარი წელიწადში ერთ მოსწავლეზე	2476 ლარი წელიწადში ერთ მოსწავლეზე	„-----“
------------	---------------------------------	------------------------------------	------------------------------------	---------

29.

- გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხედვა სასწავლებლის განვითარების/პიპოთეტური მოდელის თაობაზე. სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის მისიას ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება წარმოადგენს. იმის გამო, რომ 1-3 საფეხურის პროგრამები დღემდე ხორციელდებოდა ზოგადი განათლების კომპონენტის გარეშე და სტუდენტებს აღარ ჰქონდათ შემდგომში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, სამუსიკო პროფესიული პროგრამები ხორციელდებოდა ერთსაფეხურიან(მეხუთე საფეხური) რეჟიმში და სრული ზოგადი განათლების ბაზაზე. ამჟამად პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენილია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს ახალი კანონის პროექტი, რომელიც ძირფესვიანად ცვლის პროფესიული განათლების სისტემას. მისი დამტკიცების შემდეგ შესაძლებელი იქნება პროფესიული და ზოგადი განათლების ერთად მიღება. ახალი კანონპროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე პროფესიული კვალიფიკაციები, რომლებიც დაკავშირებული იქნება უმაღლესი განათლების ბაკალავრის საფეხურის რომელიმე პროგრამასთან და კურსდამთავრებულს მიენიჭება ასოცირებული ხარისხი. ვფიქრობთ, ამ რეფორმის შემდეგ, შესაძლებელი იქნება, ვიფიქროთ სამუსიკო დისციპლინების მასწავლებელთა მომზადების პრობლემის გადაჭრაზე. მათი დეფიციტი უკვე ძალიან მწვავედ იგრძნობა რეგიონებში. აუცილებლად მიგვაჩნია, აგრეთვე, სამუსიკო განათლებას მოეხსნას არაფორმალური განათლების სტატუსი და მოხდეს ამ განათლების, შესაბამისად მისი დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარება განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ.

30. თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი:
<ol style="list-style-type: none"> 1. საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება; 2. ბრძანება დირექტორის დანიშვნის თაობაზე; 3. საშტატო განრიგი; 4. ხარჯთაღრიცხვა. <p style="text-align: center; color: red;">ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-ნადეჟდა მანჯავიძე, კოლეჯის დირექტორი, ტელ. 599552273, ელ. ფოსტა: gori.college@yahoo.com</p>

სამინისტროს მხრიდან პასუხისმგებელი პირი - (მარინე ქვარიანი- 577 56 00 56;marina.kvariani@yahoo.com)